

ზამთრის სწავლება  
2022 წელი

პირგელი და მეორე ნეშტთას წიგნის,  
ეზრას წიგნის,  
ნემიას წიგნისა და  
ესთერის წიგნის  
პრისტალიზაცია შესწავლის ბეჭმები

პირითადი საკითხები

სიღრმისეული მნიშვნელობა თორმეტი ისტორიული წიგნისა ძველ აღთქმაში (იესო ნავეს ძის, მსაჯულთა, რუთის, პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე მეფეთას, პირველი და მეორე ნეშტთას, ეზრას, ნემიასა და ესთერის) არის გამოცხადება იმის შესახებ, რომ ღმერთის მოძრაობა ადამიანების ისტორიაში ამზადებს გზას იმისათვის, რომ ღმერთმა განახორციელოს თავისი მარადიული სახლმშენებლობა, გახდეს ადამიანი, რათა ადამიანი გახდეს ღმერთი სიცოცხლით და ბუნებით (მაგრამ არა ღვთაებაში) წარმოსაქმნელად და ასაშენებლად ეკლესიისა, როგორც ქრისტეს ორგანული სხეულისა, რომელიც დაასრულებს ახალ იერუსალიმს მისი საბოლოო გამოხატულებისათვის.

ეზრამ ხელახლა შეადგინა ისრაელის ხალხი ზეციური ჰეშმარიტებებით; უფლის აღდგენაში ჩვენ გვჭირდება ეზრები, მასწავლებელი-მღვდლები, რომლებიც ეხებიან ღმერთს, რომლებიც გაედენთილი არიან ღმერთით, რომლებიც ერთი არიან ღმერთთან, რომლებიც სავსე არიან ღმერთით და რომლებიც დახელოვნებული არიან ღმერთის სიტყვაში – ასეთ ადამიანს აქვს უფლება, რომ იყოს მასწავლებელი აღდგენაში.

ჩვენ უნდა ვიცხოვოთ ქრისტეთი და გამოვავლინოთ ქრისტე ჩვენი ცხოვრებით, და ამის მეშვეობით განვადიდოთ ქრისტე, რათა შევძლოთ ეკლესიის, როგორც ღმერთის გამოხატულების, აშენება; იმისათვის, რომ გამოვხატოთ ღმერთი, ჩვენ ყოველდღიურად უნდა გავწმიდანდეთ და განვახლდეთ წყლით განბანის მეშვეობით სიტყვაში, რათა ვიყოთ წარდგენილნი ქრისტესთვის, ჩვენი საქმროსთვის, როგორც სუფთა, დიდებული, ღმერთის გამომხატველი პატარძალი.

ეკლესიის, როგორც ქრისტეს სხეულის, ასაშენებლად არსებობს აუცილებლობა სულიერი ომისა, რომელიც ხორციელდება ოთხი პრინციპის თანახმად: არ გამოვიყენოთ ხორციელი იარაღი, შევინარჩუნოთ ამაღლების მდგომარეობა, გამოვიყენოთ სულიერი იარაღი, რომელიც ძლიერია მტრის სიმაგრეების დასანგრევად, და გვესმოდეს, რომ ლოცვა არის ომი, და წარმოვთქვათ ომის ლოცვები ზეციურ სფეროში და ღმერთის ტახტიდან.

## შეტყობინება პირველი

### დმერთის მოძრაობა ადამიანურ ისტორიაში, დმერთის მარადიული სახლმშენებლობის განსახორციელებლად

ადგილები წერილიდან: ზაქ. 1:3, 18-21; 2:1-2, 5, 8-9, 11; 6:12-13; 10:1, 3, 8, 12; 11:7; 12:1, 10; 14:5, 9

I. სიღრმისეული მნიშვნელობა თორმეტი ისტორიული წიგნისა ძველ აღთქმაში (იესო ნავეს ძის, მსაჯულთა, რუთის, პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე მეფეთას, პირველი და მეორე ნეშტის, ეზრას, ნეგმიასა და ესთერის) არის გამოცხადება იმის შესახებ, რომ დმერთის მოძრაობა ადამიანურ ისტორიაში ამზადებს გზას იმისათვის, რომ დმერთმა განახორციელოს თავისი მარადიული სახლმშენებლობა, გახდეს ადამიანი, რათა ადამიანი გახდეს დმერთი სიცოცხლითა და ბუნებით (მაგრამ არა ღვთაებაში) წარმოსაქმნელად და ასაშენებლად ეკლესიისა, როგორც ქრისტეს ორგანული სხეულისა, რომელიც დაასრულებს ახალ იერუსალიმს მისი საბოლოო გამოხატულებისათვის:

- ჩვენ უნდა დავუკავშიროთ ძველი აღთქმიდან ისტორიის თორმეტი წიგნი დმერთის მარადიულ სახლმშენებლობას; ბიბლია ფაქტობრივად საუბრობს მხოლოდ ერთ რამეზე – დმერთის მარადიულ სახლმშენებლობაზე, რომელიც დაფუძნებულია დმერთის სიხარულზე, მისი გულის წადილზე (ეფე. 1:4-5, 9-10; 1 ტიმ. 1:3-4; 6:3); ეს თორმეტი ისტორიული წიგნი დაწერილია დმერთის დვთაებრივი გამოცხადების სინათლეში, ჩვენი შეგონებისა და გაბრწყინებისათვის (1 კორ. 10:11).
- დმერთის მარადიული სახლმშენებლობის განხორციელება (მათ შორის საშუალება – დმერთისმიერი იურიდიული გამოსყიდვა და მიზანი – დმერთისმიერი ორგანული გადარჩენა), რათა მოგვამზადოს ჩვენ როგორც მისი პატარადი მისი დაბრუნებისათვის, არის ერთადერთი გზა ქვეყნიერებაში დღეს არსებული პრობლემების გადაწვეტისა; ეს არის სურვილი დმერთის გულისა, და დმერთი განახორციელებს მას – რომ. 5:10, 17, 21; 1 თემ. 5:23-24; ფილიპ. 1:3-6.
- უფლის მეორედ მოსვლა გადაწყვეტს ქვეყნიერების ყველა პრობლემას, როგორებიც არის: უსამართლობა (ესაია 11:4), ომები (2:4), ავადმყოფობები (გამოცხ. 22:2; ეზე. 47:12), შიმშილი (ესაია 35:1, 6), განათლება (2:2-5; 4:2-6; 11:9; აბაქ. 2:14; ებრ. 8:11; ფსალ. 2:6, 12), ცოდვიანი დაწესებულებები (მათე 13:41-43), ტანჯვა მთელი ქმნილებისა (რომ. 8:21-22; ესაია 11:6, 9) და მიწიერი მთავრობები (გამოცხ. 11:15; დან. 2:34-35, 44-45).

II. ზაქარია წინასწარმეტყველის წიგნი გვიჩვენებს, რომ მნიშვნელოვანი საკითხი და ძირითადი შინაარსი დმერთის მოძრაობისა ადამიანის ისტორიაში არის ქრისტეს ორი მოსვლა იესოს მოწმობისათვის, დმერთის ნაგებობისათვის:

- წინასწარმეტყველ ზაქარიას წიგნის მე-9-დან მე-11 თავებში საუბარია ქრისტეს დამდაბლებულ პირველ მოსვლაზე, რომელიც იყო მორჩილი და მისაწვდომი:
  - ქრისტე მოვიდა სამართლიანად, გადარჩენით დმერთის ხალხისათვის როგორც მეფე, მაგრამ როგორც მეფე მორჩილი, მეფე დამცირებული, რომელიც დადის არა დიდებული ცხენით, არამედ ვირით, უფრო მეტიც, პატარა ვირით; ეს ასრულდა, როდესაც იესო ქრისტე ბოლოჯერ შევიდა იერუსალიმში – ზაქ. 9:9; მათე 21:5-10.
  - ქრისტე ეზიზდებოდათ, მას თავს ესხმოდნენ, მას უარყოფდნენ, და ის გასცა მისმა ერთ-ერთმა მოწაფემ ოცდაათ ვერცხლად, მონის ფასად (ზაქ. 11:8, 12-13; გამოს. 21:32); აქ ნათქვამი წინასწარმეტყველებაში აღსრულდა სახარებებში (მათე 26:14-15; 27:3-10).

3. ქრისტე, იეჰოვას მეგობარი, მოვიდა ისრაელის შვილებთან როგორც დმერთის მიერ გამოგზავნილი მწყემსი; როგორც ადამიანი, ქრისტე იყო ერთდღოულად ნათესავი ისრაელის შვილებისა და იეჰოვას მეგობარი; ის იყო მოკლული როგორც მწყემსი, ხოლო მისი მოწაფეები იყვნენ გაფანტულნი, როგორც ცხვრები – ზაქ. 13:6-7; იოანე 10:11; მათე 9:36; 26:31; იოანე 16:32-33.
4. ქრისტე იყო დაჭრილი ჯვარზე ისრაელის სახლში, მაგრამ მან თქვა: „მე ვიყავი დაჭრილი ჩემი მოყვარულების სახლში“; ისრაელის შვილებმა მოკლეს ქრისტე, მაგრამ ამ ტქბილ სიტყვაში ქრისტე აფასებს მათ მიერ გაკეთებულს, როგორც ჭრილობებს მისი მოყვარულებისაგან – ზაქ. 13:6-7; 12:10; გამოცხ. 1:7; ფსალ. 22:16.
5. ქრისტეს გვერდი იყო განგმირული, და ის გახდა გახსნილი სათავე ცოდვისა და უწმიდურობისათვის – ზაქ. 12:10; 13:1; იოანე 19:34, 37; მათე 26:28.
- ბ. ზაქარია წინასწარმეტყველის წიგნის მე-12 – მე-14 თავებში საუბარია ქრისტეს გამარჯვებულ მეორედ მოსვლაზე, რომელსაც თან ახლავს ძალა და ძალაუფლება:
1. ქრისტე მოვა მეორედ თავისი წმიდანების, გამარჯვებულების, თანხლებით – 14:5; იოველ. 3:11; იუდა 14.
  2. მისი ფეხები დაიდგმება ელეონის მთაზე, რომელიც არის იერუსალიმის წინ აღმოსავლეთით – ზაქ. 14:4; საქმე. 1:9-12.
  3. ის იბრძოლებს ისრაელის შვილებისათვის, მისი ამორჩეული ადამიანებისათვის, იმ ტომების წინააღმდეგ, რომლებითაც ისინი არიან გარშემორტყმული და გადაარჩენს მათ განადგურებისაგან – ზაქ. 14:2-3, 12-15; 12:1-9.
  4. იმ დროს ისრაელის მთელი სახლი შეხედავს მას, მას, ვინც მათ განგმირეს, და ისინი დამწუხერდებიან მის გამო; ასე გადარჩება მთელი ისრაელი – მუხ. 10-14; რომ. 11:26.
  5. ამის შემდეგ ის იქნება მეფე და იმეფებს და მართავს ტომებს; ყველა ადამიანი ავა იერუსალიმში წლიდან წლამდე, რათა თაყვანი სცენ მას, და ყველა იქნება გაწმიდანებული მისთვის – ზაქ. 9:10; 14:16-21.
  6. „იეჰოვა იქნება მეფე მთელ დედამიწაზე“; იმ დღეს იეჰოვა იქნება ერთადერთი დმერთი და მისი სახელი – „ერთადერთი სახელი“ – მუხ. 9; ფსალ. 72:8; გამოცხ. 11:15.
- III. ყოვლისმომცველი ქრისტე – ეს არის ისტორია დმერთის მოძრაობისა ადამიანის ისტორიაში, და მისი მიზანია, რომ მოიპოვოს დმერთის ნაგებობა დმერთის გამოვლინებისათვის – ზაქ. 4:9; 6:12-15; მათე 16:18; იოანე 1:1, 14; 1 კორ. 15:45ბ; გამოცხ. 4:5; 5:6; 21:2:
- ა. იმ დროს, როდესაც ქრისტე ოსტატურად მუშაობს, რათა უზენაესი ძალაუფლებით მართოს სიტუაცია ქვეყნიერებაში ადამიანის ისტორიაში, ის ოსტატურად ნერგავს თავის თავს ჩვენში დვთაებრივ ისტორიაში, იმ მიზნით, რომ გაგვხადოს ჩვენ საუკეთესო ნაწარმოები, შექმნილი მის მიერ, დმერთის პოემა, დმერთის ახალი გამოგონება, რომელიც გამოხატავს მის უსასრულო სიბრძნესა და დვთაებრივ ჩანაფირს – საქმე. 5:31; ეფეს. 2:10.
- ბ. ქრისტე თავის ადამიანობაში – არის იეჰოვას ანგელოზი, თვით იეჰოვა, როგორც სამერთიანი დმერთი, რომელიც დგას დმერთის ხალხთან ერთად ველის ყველაზე დაბალ ნაწილში მათი დამცირების დროს, რათა იზრუნოს მათზე, იშუამდგომლოს

- მათთვის და სწრაფად გამოიყვანოს ისინი ბაბილონის ტყვეობიდან – ზაქ. 1:7-17; გამ. 3:2, 4-6, 13-15; ესაია 63:9; რჯლ. 33:27.
- გ. ქრისტე არის უკანასკნელი ხელოსანი, რომელსაც იყენებდა ღმერთი, რათა მოეტება ოთხი რქა; ოთხი რქა არის ოთხი სამეფო მათ მეფეებთან ერთად: ბაბილონი, მიდო-სპარსეთი, საბერძნეთი და რომის იმპერია: მათზე მიუთითებს დიდი ადამიანური ქანდაკება ოთხი ნაწილით დან. 2:31-33-ში, ოთხი ეტაპი კალიისა იოგელის 1:4-ში, ოთხი მხეცი დან. 7:3-8-ში, რომლებმაც დააზიანეს ღმერთის ამორჩეული ხალხი და გაანადგურეს ის – ზაქ. 1:18-21.
1. ოთხი ხელოსანი არის ოთხი სხვადასხვა სახის ოსტატობა, გამოყენებული ღმერთის მიერ ამ სამეფოების გასანადგურებლად, მათ მეფეებთან ერთად: თითოეული პირველი სამი სამეფოდან (ბაბილონი, მიდო-სპარსეთი და საბერძნეთი) იყო ოსტატურად დაპყრობილი სამეფოს მიერ, რომელიც მოსდევდა მათ – დან. 5; 8:3-7.
  2. მეოთხე ხელოსანი იქნება ქრისტე, როგორც ქვა, გამოკვეთილი ადამიანის ხელის დახმარების გარეშე, რომელიც თავისი დაბრუნებისას დაამსხვრევს რომის კვლავ წარმოქნილ იმპერიას და ამის მეშვეობით დაამსხვრევს დიდ ადამიანურ ქანდაკებას – ადამიანური მმართველობის ჯამს – 2:31-35.
  3. ეს ქვა აღნიშნავს არა მარტო ინდივიდუალურ ქრისტეს, არამედ ერთობლივ ქრისტესაც, ქრისტეს მის „ძლევამოსილებთან“ ერთად – იოველ. 3:11.
- დ. ერთობლივი ქრისტე, ქრისტე თავის გამარჯვებულ პატარძალთან ერთად, მოვა როგორც ქვა, რათა დაამსხვრიოს ადამიანური მმართველობის ჯამი, იმ მიზნით, რომ მოიტანოს ღმერთის სამეფო – დან. 2:34-35; იოველ. 3:11; გამოცხ. 19:11-21; შდრ. დან. 1:26.
- ე. დანიელ წინასწარმეტყველის წიგნის მე-2 თავში ნათქვამია, რომ ქრისტე მოვა როგორც ქვა, ამოკვეთილი ადამიანის ხელის დახმარების გარეშე, ხოლო გამოცხადების მე-19 თავში ნათქვამია, რომ ქრისტე მოვა როგორც ის, ვისაც ჰყავს პატარძალი, როგორც თავისი ჯარი.
- IV. ეფესელთა მიმართ წერილის მე-5 და მე-6 თავებში გახსნილია, რომ ეკლესია არის პატარძალიც და მეომარიც; გამოცხადების მე-19 თავში ჩვენ ასევე ვხედავთ ეკლესიის ამ ორ ასპექტს – ეფეს. 5:25-27; 6:10-20; გამოცხ. 19:7-9, 11, 14:**
- ა. იმისათვის, რომ ვიყოთ პატარძალი დათავისებრივ ისტორიაში, ღმერთის მოძრაობაში ადამიანურ ისტორიაში, ჩვენ გვჭირდება მომრთველი სიტყვა ღმერთისა, ხოლო იმისათვის, რომ ვიყოთ მეომარი დათავისებრივ ისტორიაში, ღმერთის მოძრაობაში ადამიანურ ისტორიაში, ჩვენ გვჭირდება ღმერთის მომაკვდინებელი სიტყვა – ეფეს. 5:26; 6:17-18; შდრ. 2 ტიტ. 3:16.
  - ბ. თავისი ქორწილის დღეს ქრისტე დაქორწინდება თავის პატარძალზე, გამარჯვებულებზე, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში იბრძოდნენ ღმერთის მეტრის წინააღმდეგ – შდრ. 7:25; 6:10; ეფეს. 6:12.
  - გ. სანამ ქრისტე ჩამოვა დედამიწაზე, რათა გაუმკლავდეს ანტიქრისტეს და ადამიანური მმართველობის ჯამს, მას ექნება ქორწილი, სადაც ის შეაერთებს თავისთან თავის გამარჯვებულებს ერთ მთლიანობად – გამოცხ. 19:7-9.
  - დ. ამგვარად, ქრისტე, როგორც სული, გამზადებული და დასრულებული სამერთიანი ღმერთი, დაქორწინდება ეკლესიაზე, როგორც პატარძალზე, გამზადებულ და გარდასახულ სამნაწილოვან ადამიანზე – 22:17.

- ქ. თავისი ქორწილის შემდეგ ის მოვა თავის ახლად შერთულ პატარძალთან ერთად, რათა გაანადგუროს ანტიქრისტე, რომელიც თავისი ჯარით იბრძოლებს უშუალოდ დმერთის წინააღმდეგ – 19:11, 14:
1. უფალი იქსო, დმერთის სიტყვა, მოკლავს ანტიქრისტეს, უკანონობის ადამიანს, თავისი ბაგის სუნთქვით, და ის გაანადგურებს ანტიქრისტეს თავისი მოსვლის გამოვლინებით – მუხ. 11-15; 2 ოქ. 2:2-8.
  2. ქრისტეს ბაგიდან გამოდის ბასრი მახვილი, რათა ამ მახვილით მან გაანადგუროს ხალხები – გამოცხ. 19:15; 1:16; 2:12, 16.
3. მას შემდეგ, რაც დმერთი გაანადგურებს ადამიანურ მმართველობას, ის გაწმენდს მთელ სამყაროს; მაშინ ერთობლივი ქრისტე, ქრისტე თავის გამარჯვებულებთან ერთად, გახდება დიდი მთა, რომელიც აავსებს მთელ დედამიწას, გახდის მას დმერთის სამეფოდ – დან. 2:35, 44; 7:22, 27; გამოცხ. 11:15.
- V. იმისათვის, რომ განხორციელდეს დმერთის მოძრაობა ადამიანურ ისტორიაში, დმერთის მარადიული ჩანაფიქრის აღსასრულებლად, უნდა ვავარჯიშოთ ჩვენი სული, იმ მიზნით, რომ განვიცადოთ ქრისტე, როგორც შვილმაგად გაძლიერებული სული და დაგტკბეთ ასეთი ქრისტეთი – 1:10; 4:2; 17:3; 21:10; 4:5; 5:6; ზაქ. 3:9; 4:10:
- ა. ზაქარიას 1:3-ში ნათქვამია: „მაშ, უთხარი მათ, ასე ამბობს-თქმ მხედრობის იქვოვა, მობრუნდით ჩემკენ და მეც მოვბრუნდები თქვენკენ – ამბობს მხედრობის იქვოვა“. ჩვენ უნდა ვავარჯიშოთ ჩვენი სული, რათა დავბრუნდეთ უფალთან მთელი ჩვენი გულით; აქ ჩადებულია გარკვეული პრინციპი: თავიდან ჩვენ უნდა დავბრუნდეთ უფალთან, და მაშინ უფალი დაბრუნდება ჩვენთან – იერ. 24:7; ოსია 6:1-3; 14:1-5; ოიოლ. 2:13; ლუკა 15:17-24.
- ბ. ზაქ. 12:1-ში ნათქვამია: „იქვოვას სიტყვის საზრუნავი ისრაელზე. ასე ამბობს იქვოვა, რომელმაც ცანი გადაჭიმა, საძირკველი დაუდო დედამიწას და ადამიანის სული გამოსახა მის წიაღში“
1. თავის ქმნილებაში დმერთმა შექმნა სამი უდიდესი, ერთნაირად მნიშვნელოვანი რამ: ცები, დედამიწა და ადამიანის სული.
  2. ცები განკუთვნილია დედამიწისათვის, დედამიწა – ადამიანისათვის, ხოლო ადამიანი შექმნა დმერთმა სულით, რათა შეხებოდა დმერთს, მიეღო დმერთი, თავისი ეცა დმერთისათვის, ეცხოვრა დმერთი, აღესრულებინა დმერთის ჩანაქიფრი დმერთისათვის და ყოფილიყო ერთი დმერთთან – მუხ. 1.
  3. „ცემტრალური მთავრობა“ და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწილი ადამიანის არსებაში უნდა იყოს მისი სული; ადამიანი, რომელსაც ხელმძღვანელობს და მართავს მისი სული – არის სულიერი ადამიანი – 1 კორ. 2:14-15; 3:1; 14:32; ოოანე 3:6; ეფეს. 3:16; 1 პეტ. 3:4; დან, 6:3, 10.
  4. ზაქარია წინასწარმეტყველის წიგნი გვავალებს, რომ მივმართოთ ჩვენი ყურადღება ჩვენს ადამიანის სულზე, რათა შევძლოთ, რომ მივიღოთ ქრისტე, გახსნილი ამ წიგნში, და გავიგოთ ყველაფერი, რაც გახსნილია მასში ქრისტეზე – დან. 2:7; ოოანე 4:24; ფილიპ. 4:23.
- გ. ჩვენ უნდა დავტკბეთ ქრისტეთი, როგორც შვილმაგად გაძლიერებული სულით შემდეგ ასპექტებში:
1. ქრისტე არის ადამიანი გამზომი ლარით ხელში, რომელიც ზომავს დმერთის ხალხს, რათა გამოსცადოს ის, გაასამართლოს ის, გამოიპვლიოს ის და მოიპოვოს ის თავისი სამეფოსათვის – ზაქ. 2:1-2; ეზეკ. 40:3; 47:1-5; ფსალ. 139:23-24.

2. „მე ვიქნები მისი ცეცხლოვანი კედელი უველა მხრიდან, –აცხადებს იქჰოვა, – და მე ვიქნები დიდება მასში“ – ზაქ. 2:5:
- ა) ის, რომ ქალაქ იერუსალიმის კედელი და დიდება მის შიგნით იქნება თვით იქჰოვა, მიუთითებს იმაზე, რომ იქჰოვა, როგორც ქრისტე, იქნება იერუსალიმის დაცვა მის გარშემო და მისი დიდება მის ცენტრში; ეს გვიჩვენებს ქრისტეს ცენტრალურობასა და უნივერსალურობას ღმერთის სახლმშენებლობაში.
  - ბ) დღეს ქრისტე არის დიდება ეკლესიის ცენტრში და ის ასევე არის ანთებული ცეცხლი ეკლესიის გარშემო მის დასაცავად; ახალ იერუსალიმში სამერთიანი ღმერთი ქრისტეში იქნება დიდება მის ცენტრში (გამოცხ. 21:23; 22:1, 5), და ეს დიდება ანათებს ქალაქის გამჭვირვალე კედლიდან როგორც მისი ცეცხლოვანი დაცვა (21:11, 18ა, 24).
3. ქრისტე არის მხედრობის იქჰოვას წარმოგზავნილი, და ასევე წარმოგზავნელი, მხედრობის იქჰოვა, რომელიც ზრუნავს თავის ხალხზე, რომლებიც ძალიან ძვირფასნი არიან მისთვის; ყველა, ვინც ეხება მათ, ეხება მისი თვალის გუგას – ზაქ. 2:8-9, 11; შდრ. ოოანე 14:26; 15:26.
4. ქრისტე მოვიდა როგორც მწყემსი, რომელიც მწყემსავს ფარას ორი კვერთხით: ერთს ეწოდება „კეთილგანწყობა“ (მადლი), ხოლო მეორეს „მარწუხები“ (შეკვრა); მადლი განკუთვნილია მიმისათვის, რომ ჩვენ შევერწყაო ღმერთს, ხოლო შეკვრა – რომ ჩვენ ვიყოთ შეკრული ერთად – ზაქ. 11:7; 2:1-2, 5, 8-9, 11; ოოანე 21:15-17:
- ა) იმ დროს, როდესაც უფალი ასეთი კეთილგანწყობილია ჩვენ მიმართ, ჩვენ უნდა ვთხოვოთ მას, რომ გამოგვიგზავნოს კიდევ უფრო მეტი კეთილგანწყობა, მეტი მადლი, მეტი „წვიმა“ – ზაქ. 10:1; 12:10; ეზეპ. 34:26.
  - ბ) უფლის, როგორც მწყემსის, მიერ მონახულების შემდეგ თითოეული სუსტი ცხვარი ღმერთის ხალხს შორის ხდება დიდების ცხენი – ზაქ. 10:3; შდრ. 9:13, 16; საქმე. 11:32ბ.
  - გ) ხშირად ჩვენი დილის გამოღვიძების დროს უფალი გვისტვენს ჩვენ, გვეძახის ჩვენ და გვკრებს ჩვენ თავისთან; უფლის სტვენა არ არის მკვეთრი, ის არის რბილი და ნაზი, რაღაც მსგავსი ჩიტების ჭიქიკისა – ზაქ. 10:8.
  - დ) უფალი გვამაგრებს ჩვენ თავის თავში, რათა ჩვენ ვიაროთ მის სახელში – მუხ. 12; კოლ. 3:17.
- VI. ღმერთის მოძრაობასთან, როგორც ღვთაებრივი ისტორიის ადამიანურ ისტორიაში, დაგაგშირებულია ახალი ქმნილება – ახალი კაცი ახალი გულით, ახალი სულით, ახალი სიცოცხლით, ახალი ბუნებით, ახალი ისტორიითა და ახალი დასრულებით; ჩვენ გაქებთ უფალს იმისათვის, რომ ვიმყოფებით ღვთაებრივ ისტორიაში, განვიცდით საიდუმლო, ღვთაებრივ რაღაცებს და ვტკბებით მისით ჩვენი ორგანული სხნისათვის, რათა შევძლოთ, რომ მოვამზადოთ ჩვენი თავი და გავხდეთ მისი გამარჯვებული პატარძალი, რომელიც დააბრუნებს მას – პიმზ 12; რომ. 5:10, 17-18, 21; 6:4; ეზეპ. 36:26; 2 კორ. 3:16-18; მათე 5:8; ტიტ. 3:5; ეფეს. 5:26-27; 6:17-18; გამოცხ. 19:7; მათე 24:44; 25:10.